# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| მთელის წლისა | — 4 მ.ნ. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 23 შაბათი — III — 21 ნოემბერი, 1870 წ.

შინაარსი:

კარგი მამასახლისი სოფლის ბურჯია.—სამეურნეო ცნობები: ...კვების გავლენა ქათმის ხორცისა და კვერცხის გემოზე.—ზროხის საკვირველი ნაყოფიერება.—ანგლიური ჯიშის ცხვრები.—ვაზის ...ა.—რუსეთის ამბები.—სამეურნეო სახერო შკოლებზე.—უცხო ქვეყნის ამბები:—ჯვრის გამრავლება საფრანგეთში. ...ჭაგმენის საშუალება მიწის მატლის გასაწყ...ობათ.

## კარგი მამასახლისი სოფლის ბურჯია.

ამას წინეთ ერთს ალაგს გიორგობას დღესასწაულობდნენ. იმ კუთხის ქალსა და კაცს ...ლ იქ მოეგროვებინათ თავი. დაირის კვრით, ...ჭიანურის თამაშით, ფერხულით და სიმღერით ...ხინობას იკლებდნენ. ერთგან დიდ მუხის ...რას საყდრის გალავანში რამდენიმე სოფელი დამჯდარი იყო და ზოგი თავ შეყუდებ...ათ ჩიბუხს სწევდა, ზოგი კი ლაპარაკობ...ა თავიანთ სოფლის საქმეებზე. მოშორებით ...ავალნაირს შექცევას და სიმღერას თითქოს ...ურებით ყოველგვარი დარდები მოეშორე...ნა იმათთვის, და გადაწმენდილს გონებაზე ...რო გულ-მხურვალებით გაერთობოდნენ სოფ...ის გამგეობის ლაპარაკში.

* * *

ჩიბუხიანი.—ღმერთმა დასწყევლოს უწინდელი დრო. მაშინდელმა დაწყობილებამ სწორეთ მოსაზრება დაუკარგა ჩვენს სოფლის კაცს. მდივანბეგი ვარო, თუ უჩასტკის ნაჩალნიკი,—მოვიდოდა სოფელში და ერთს მოსახლეს უნდა მიერთმია, მეორეს ცხვარი, მესამეს ქათამი, მეოთხეს გოჭი და სხვ. ერთი ორი დაიარაღებული კაცი მაინც იან დაჰყვებოდა ტურების ხროვასავით და რომელ სოფელშიდაც ჩამოხტებოდა ამდენი ურდო, იმ სოფლის მცხოვრებლების ზურგზედ დაისადილებდენ. კარგათ რომ გაივსებდენ მუცელს, სადილს შემდეგ სოფლის საქმეების გარჩევას შეუდგებოდა ბატონი დიამბეგი, ან ბატონი უჩასტკის ნაჩალნიკი,—სულ ერთია, რომელიც უნდა ყოფილიყო: ორივე ერთი სათავიდგან იწყებოდა და ორივეს ერთი თვისება ჰქონდა: პატარას წაართვან და დიდს მისცენ.

* * *

მაშინ საწყალს გლეხს ან თავის მებატონესთან, ან სხვის მებატონესთან თუ ექნებოდა სადაო საჩივარი, თორემ სხვასთან ვისთან!.... როგორც მოგეხსენებათ ღონით თანასწორები ერთმანეთს თავის დღეში არას ავნებენ. უსამართლობა და უკანონობა მაშინ მოხდება ხოლმე, როცა ერთი ღონიერია და მეორე უღონო. უწინ ეს ღონიერები, ანუ მებატონეები ტურებსავით თან დასდევდენ მდივანბეგს და რომელს სოფელშიაც მივიდოდენ, იქ უღონო გლეხები ცხვრების ჯოგსავით დაუხვდებოდენ გასასამართლებელათ.

* * *

მოდი და შენ გაარჩიე სამართალი, როცა ტურასა და ცხვარშუა უხეირო მოსამართლე!... სწორეთ ამ ნაირათ მოგვდიოდა უწინდელს დროში. თუ ვინმე ჩვენთაგანი ხმას ამოიღებდა, მაშინვე დაიძახებდენ, წკეპლი მაგასო!.. ამისთანა მდგომარეობაში ერთს ერთმეოდა და მეორეს ემლეოდა. სამართალიც ეს იყო. მოწინააღმდეგე ვინ იქმნებოდა. ყველას შიშისაგან ჰკუა ჰქონდა დაბნეული, მაგრამ გაჭირების დროს ნემსიც რომ ვისმე დაჰკარგოდა, მაინც მდივანბეგთან მირბოდა,—რათაო? განა მოსწონდა იმის სამართალი და იმისთვის თუ? სრულებითაც არა. ფარვანა რომ ცეცხლს უტრიალებს, სანამდის შიგ არ დაიწვის, რათ არის? განა იმისთვის, რომ ჰსურს ცეცხლში დაწვა. არა, იმიტომ რომ იმის იქით გზა არა აქვს. ფარვანას სინათლე უყვარს და ამისთვის ცეცხლში იწვის. სოფლელსაც ეგრე ემართებოდა. იმას სამართალი უნდოდა და ამისგან მეტი რაღონე ჰქონდა დიამბეგ-

თან მიდიოდა და იქ ფარვანასავით ცეცხლზე იწოდა. ამისთანა გარემოებამ ისე დააშინა ხალხი, რომ სწორეთ გონება გაუხმო. არც ერთი საქმე ერთმანეთში მორიგებით არ გადაწყდებოდა: ისინი იმახდენ: აბა ჩვენი სამართალი როგორ მოვა დიამბეგის სამართალთანაო. დიამბეგმა რომ ცუდათ გადაწყვიტოს, ის გვირჩევნია ჩვენი კაცის კარგათ გადაწყვეტასაო, ამიტომ რომ ჩვენი ჯურის კაცის გასამართლებულს საქმეს გადაწყვეტის უმალ ჩემივე მეზობელი დაარღვევსო; ამისთვის ისევ დიამბეგთან ქონდეს საქმე კაცს, ის სჯობიაო, ჩვენ კაცთან ქონვასავო. ის ერთჯერ დაჰკრავს კვერსა და გათავდა, ჩვენიანს კი ას ჯერ რომ გადაეწყვიტა, ასჯერვე დაიწუნებდენ და ისევ დავას გამართავდენ. მოდი და ამისთანა მდგომარეობაში ნუ წახვიდოდი დიამბეგთან, თუნდ რომ ძალიანაც დაგზარებოდა! — ამით გაათავა ლაპარაკი ჩიბუხიანმა გლეხმა და გამოუშვა ჩიბუხის ბოლი პირიდგან.

*
* *

— ახლა მადლობა ღმერთს ის დროები აღარ არიან. მდივან-ბეგებსაც მოვრჩით და უჩასტკის-ნაჩალნიკებსაც. მაგრამ ჩვენ კაცს მაინც არა ეშველარა. ჩვენი ახლანდელი სოფლის სასამართლოები აინუნშიაც არ მოსდის. იმათ ერთ გროშათაც არ აგდებს სოფლელი და ისევ უწინდელს აზრზე არჯება. გლეხის ჩოხაში გამოხვეული მოსამართლის სიტყვა თუნდ ძალიან სამართლიანი იყოს, მაინც არ სჯერა. ძველიდგან რომ მუდამ მდივანბეგის სამართალს დაჩვეულა, გლეხის სამართალს თუ ძალა რამე ექნება, არ ჰგონია. იმის აზრით საქმის გადაწყვეტა მაშინ იქნება საჯერო, როცა ამ გადაწყვეტილებას უწინდელი მდივან-ბეგების მოადგილე, ან იმათი გვარის კაცი გადაწყვეტსო. — თქვა მეორე გლეხმა, რომელიც იქვე ჩრდილში იჯდა და სხვები სრულებით დაეთანხმენ.

*
* *

თურმე კიდეც იმიტომ უფრო მიდიან ყოველ წვრილმან საჩივარზე სოფლელი გლეხები მიროვის-სუდიასთან, თუნდ ორი დღის სავალზედაც რომ იყოს იმის სასამართლო. ქათამიც რომ მეზობელმა დაუკლას, ის კიარა თუ იქვე სოფლის მამასახლისს, ან სუდიას მიჰმართოს, ორი საათის განმავლობაში გაასამართლებინოს ეს საქმე, მორჩეს და მოისვენოს. — არა. ის მირბის მიროვის სუდიასთან ოცდაათ ვერსზე და ერთი ქათმისთვის, ერთდღეს უნდა მოცდეს, რომელიც ხუთ ქათმის ფასათ ღირს. ამას გარდა მიროვის სუდიას ბუზებსავით ახვევია ისეთი ადვოკატები, ანუ ვექილები, რომელნიც დაინახვენ თუ არა გლეხს, მაშინვე მივარდებიან: — საქმეს მე გაგირიგებ სუდიასთან, ოღონ შენ საგამრჯელო ჩემთვის ნუ დაგზარდებაო. სოფლელი გლეხიც იმდენათ გულ-კეთილია, რომ ერთი ქათმის საჩივარში ათ ქათმის ფასს ჰპირდება. ამ სახით გამოდის, რომ გლეხი ქათმისთვის მთელ დღესაც ჰკარგავს და ათი ქათმის ფასსაც. ამას უჭკუოს მეტი ვინ იზამს! მაგრამ ჩვენი გლეხი მაინც სხვა ნაირათ ჰფიქრობს. იმის აზრით მამასახლისის სამართალი რა უნდა იყოს, რომ ისიც ჩემისთანა კაციაო. ამ სახით ახლანდელი მშვენიერი წესი სოფლის გამგეობისა თვითონ სოფლელების გაუგებრობით რჩება ზოგიერთგან ყოვლად გამოუყენებელი,

*
* *

ამას გარდა რადგან სოფლელებ`ს თავისვე ამორჩეულ პირების რწმუნება არა აქვთ, ნამდვილათ არ სჯერათ, რომ იმათ სიტყვას და გადაწყვეტილებას ან განკარგულებას, როგორიც საჭიროა, იმისთანა ძალა ჰქონდეს, ამისთვის სოფლელები მამასახლისის და სუდიების ამორჩევის დროს არ კითხულობენ, როგორი კაცი უნდა ამოვირჩიოთ, საქმის მცოდნე, მოხერხებული, ჭკუიანი და სინდისიანი, თუ არაო. იმათთვის სულ ერთია, გინდა პეტრე დადგეს მამასახლისათ, გინდა ივანიკა. ჭკუიანი და პატივ-ცემული კაცი რომ ამოირჩიონ, თვითონ ის უარს იტყვის, ამიტომ რომ მუშაობაზე მოცდენის ეშინია. ამისგამო უფრო ხშირად უსინდისო და გაუგებარი კაცები დგებიან ხოლმე სოფლის მოხელებათ.

*
* *

აქედგან აი, რა გამოდის: უსინიდისო და რეგვენი მოხელე სოფლის საქმეებს კარგათ ვერ მართავს, სამართალს მრუდათ სჭრის და ამით სოფლელებს კიდევ უფრო არწმუნებს იმ აზრზე, რომ ჩვენი კაცისგან ხეირიანი არა გამოვა რა, ისევ სუდიასთან უნდა წავიდე, იმას გადავაწყვეტინოვო. ამას გარდა უსინდისო მოხელე, სადაც შეხვდება, ქრთამსაც აიღებს, სოფლის ფული თუ ხელში ჩაუვარდა მიფანტ-მოფანტავს და ძალიან საჭირო საქმეები, — მაგალითად, შკოლების გამართვა, ან საერო ბანკისა და სოფლის მაღაზიების დაფუძნება თავშიაც არ მოუა. ამ სახით ცუდს მამასახლისს შეუძლიან აშენების მაგიერათ სოფელი სულ დააქციოს. და სანამდის სოფლელები არ დარწმუნდებიან, რომ სოფლის გამგეობა მეტად ძვირფასი დაწესებულებაა ხალხისთვის და იმის კარგა წაყვანისათვის კარგი სინდისიანი და ჭკუიანი მოთავე უნდა ამოირჩიონ, რომელსაც უჯეროდენ სოფლის სადაო საქმების გასამართლებას, სანამდი ამაებს კარგათ არ შეიგონებენ, და როგორც რიგია, ისე ყურს არ უგდებენ სასოფლო მოხელეების ამორჩევას, მანამდის ხეირი არ მიეცემა სოფლის ცხოვრებას.

(შემდეგი იქნება),

---

## სამეურნეო ცნობები

— ერთს ნემეცურს გაზეთში სწერს ერთი ქათმის მაშენებელი, რომ არ იქნა ვერაფერი საშუალებით ვერ გავწყვიტე ჩემ საქათმეში ქათმის ტილი, რომელიც საოცრათ გამრავლდაო. იმან შინჯა კედლების, გაფისვა ნავთით, კეროსინით, ნაცარ-წმულით, კირით თამბაქოთი და სხვ., ჩაყარა ბუდეში თამბაქო და წმინდა ხის ნაცარი; მაგრამ მაინც არა ეშველარა. ბოლოს ერთმა საშუალებამ გასჭრა. — საქათმოს და საბუდრებს გოგირდი უხრჩოლეს.

*
* *

დილით, როგორც კი გამოუშვეს გარეთ ქათმები, დადგეს ტაფებით ნაკვერცხლები და ზედ დააყარეს გოგირდი, მერე დაკეტეს საქათმოს კარები. შუადღეზე კარები გააღეს და შეუშვეს შიგ ჰაერი. საღამოს ქათმები ჩვეულებრივათ დაამწყვდიეს. იმას შემდეგ ტილი აღარ გაჩენილა.

*
* *

— უწინ ჰფიქრობდენ, რომ ფრინველის საკენკი არც კვერცხებს და არც ხორცს არ აძლევს გემოს, მაგრამ ახლა გამოცდით იციან,

რომ ეს მართალი არ არის. შენიშნეს, რომ ზოგიერთი ვაჭრებითგან ნაყიდს კვერცხებს ყოველთვის ცუდი, მყრალი სუნი ჰქონდათ, მაშინ როდესაც თვითონ კვერცხები სულ ახლები იყვნენ. კარგათ რომ გამოიკვლიეს, გამოჩნდა: თურმე იმ ვაჭრებს კვერცხები მოჰქონდათ იმათგან, რომელნიც ქათმებს ცხენის ხორცით ჰკვებავდენ. მეორეს მხრით შენიშნულია, რომ იმ ქათმებს, რომელნიც გასუქებიათ სიმინდის კაკლებით და რძით, საკვირველი გემრიელი ხორცი და კვერცხი აქვთო, ისე რომ ამისთანა ქათმები თუ გამოჩნდებოდა ბაზარზე ერთი ორათ ყიდულობდენ; ამას გარდა იმ ქათმების კვერცხი, რომელნიც თავისუფლათ არიან გაშვებულნი ტყეში და მინდვრებში, უფრო კარგი გემოს და გემრიელი გამოდის, ვინამც იმ ქათმებისა, რომელნიც ჰყავთ მოდობილს ჩალურებში საქათმოებში, საცა სხვა-და-სხვა გვარს საკენკს გარდა, ჭიებსაც პოულობენ.

*
* *

— ერთი კაცი იყო, რომელსაც ძალიან უყვარდა ყოველ გვარი ფრინველი და კიდეც ერთად აშენებდა. მაგრამ იმან შენიშნა, რომ ზოგჯერ იმის ქათმის კვერცხებს ცუდი ზეთიანი სუნი ჰქონდა. ბოლოს შეიტყო, რომ თურმე ქათმები ადიოდენ ზევით, საცა სხვა ფრინველებს ჰქონდათ საკენკი დადგმული და დიდის სიამოვნებით სჭამდენ სელისა და კანაფის მარცვალს. ბევრნი ამტკიცებენ, რომ იმ ქათმების კვერცხებიდგან, რომელთაც ჰკვებავდენ ცხენის ხორცით, ვერ გამოჰყავთ კარგათ წიწილები და ბევრიც ლაყდება, ამისთვის ადრე თუ გვიან უნდა გადავარდესო ხორცით კვება ქათმებისა.

*
* *

— ერთი ნემეცური გაზეთი საკვირველს მაგალითს წარმოგვიდგენს ძროხის ნაყოფიერებისას. ერთი გოლლანდიური ხუთი წლის ძროხა დაამაკებინეს ოთხი წლის კუროსა და რამდენსამე ხანს შემდეგ დაჰბადა ოთხი დედანაკლული ხბო, რომელნიც კურდღლებზე მეტი არ იყვნენ, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ არც ერთი არ მომკვდარა. ეს ხბოები დაიბადენ სამს აპრილს და სეკდემბერს იმავე წელს დედა ისევ დამაკდა და ოცდა-ცხრა მაის დაჰბადა ორი მოზვერი და ერთი უშობელი, რომელნიც სრულებით ტან-მთელნი იყვნენ. ეს ხბორები თორმეტ დღის შემდეგ მიჰყიდეს მეკასპეს და თითო იმათგანი: უშობელი ხბო იწონიდა ორმოცდა თოთხმეტს გირვანქას და მოზვრები — ერთი სამოცდა რვა გირვანქას, მეორე სამოცდა ერთს გირვანქას.

*
* *

— ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ შემდეგს ამბავს ანგლიური ჯიშის სახორცე ცხვარზე. სესეკის დაყნები თითო წლისა და სამი თვისა-თითო იწონიდა სამოცდა ათ გირვანქას და თითო ცხვარს გამოსდიოდა ექვსი გირვანქა მატყლი. ლესტერის იწონიდა ორ ფუთს და თითო ცხვარს თითქმის რვა გირვანქა მატყლი გამოსდიოდათ.

*
* *

გრძელ მატყლოვანი კატრსვოლდი წლისა და სამი თვისა იწონის ორ-ფუთ ნახევრამდის: მატყლს იძლევა შვიდ გირვანქა ნახევარს. ლინკოლნის ცხვარი თოთხმეტი თვისა იწონის ექვს ფუთსა და ცხრა გირვანქას. მარტო მატყლს თითქმის ათ გირვანქამდის აძლევენ.

*
* *

— სამეურნეო გაზეთში და ჩვენს სასოფლო გაზეთშიაც ბევრჯელ გვილაპარაკნია ერთ გვარ ჭიაზე, რომელსაც ჰქვია ბალახის ტილი. ეს ბალახის ტილი ამ ბოლოს დროს დასევია ყურძნის ვაზის ძირებსა და იმის გამო კიდევ ახალი ავათ-მყოფობა გაჩენია. ეს ტილი საშინლათ აქცევს სამხრეთის საფრანგეთის ვენახებსა. ახლა პლანშონი და ლიხტენშტეინი დარწმუნებულან თავის დაკვირვებით და გამოცდილებით, რომ ეს ტილი ვაზის ფოთოლსაც აჯდება და ზედ აჩენს კორძებს სოკოებს, რომელნიც, განსაკუთრებით მრავალ-საგან-უმრავლესნი ეხვევიან ვაზის ძირებს. ზემოხსენებულს სწავლულებს გამოუკვლევიათ, რომ ვაზის ფოთლის ტილ. კვერცხებიდგან გამოჰყავდა ვაზის ძირის მატლები. ახლამ ხოლოდ ეს უნდა გამოიძიონ რა რიგათ კეთდებიან და იცვლებიან ერთმანეთად ეს ორი გვარის ვაზის ტილები.

* *
*

— ლონდონში რამდენიმე მეჯოგეა, რომელთაც ჰყავთ ათი-თექვსმეტი, ან ოცი ძროხა და იმათი რძით ვაჭრობენ, მაგრამ ისეთს გამრავლებულს ქალაქში და ისეთ ცუდს ჰავაში, როგორც ლონდონის არის ძალიან სისუფთავე ჰმართებს, რომ ჭირი, ან სხვა ავათმყოფობა არ დაერიოთ. საცა ძროხები ჰყავთ, იმ სახლებში ყველაფერი დაკამკამებულია, კედლებს თითქმის ყოველ დღე ლესვენ და ქვეშ-საფენს მუდამ უცვლიან. მაგალითად, ერთს იმათგანს ამ საქონლებისთვის ორთქლის მანქანა აქვს გამართული, რომელიც თავის საჭრელს ჩარხს ამუშავებს, ათბობს ძროხების სასმელს წყალს და სხვ. ამ ძროხებს სამჯერ წველიან, ყოველთვის საკვების მიცემის წინათ.

## რუსეთის ამბები

### საერო და სამეურნეო შკოლები.

წარსულს ოცდა რვა ოკტომბერს უნდა დაწყებულიყო ხერსონის საერო შეკრებილება, რომელსაც ჰქონდა განზრახვაში ერთი მეტად ქვეყნის სასარგებლო საქმე განეხილა და თუ შეიძლებოდა რიგიანათ გადაეწყვიტა. ეს საქმე იყო სამეურნეო შკოლის გამართვა. ამის თაობაზე ერთი რუსის გაზეთი, არ უწონებს ხერსონის ერობას, რომ ის თავის შემლებას ახირებულათ ფანტავს გამოუდეგარს ნივთებშიო, და ზემოთ მოხსენებულს სასარგებლო დაწესებულებას მაგდენათ არაფრათ აქცევს თავის ყურადღებასაო.

*
* *

ამ ბოლოს დროს ხერსონის გუბერნიის ეროზამ იგრძნო ეს თავისი ნაკლულევანებას და ამისთვისაც შეუდგა სამეურნეო შკოლის გამართვის საქმესაო. საქმე აი, რაში მდგომარეობს. პირველათ რომ ერობა გაიმართა, ხერსონის გუბერნიაში იყო გამართული ხუთას ორმოცდა ცამეტი სასოფლო შკოლა. სწავლობდა თერთმეტ-ათას ხუთასზე მეტი ვაჟი და ათას ორმოცდა ათი ქალი. პირველად მასწავლებლებათ იყო მომეტებული ნაწილი შინ დათხოვილი სალდათებისა და სალდათების შვილებისა, რომელთაც ძლივს წერა-კითხვა ესწავლათ, და რასაკვირველია, რომ ისინი უფრო «ნუნუას» აქცევდენ ყურადღებას,

ზედრე უმაწვილების სწავლებასა. უმაწვილებს კითხავი წიგნები არა ჰქონდათ, მასწავლებლე-ბი ჯამაგირსაც მაგდენს არ იღებდენ, პასუხის მკითხავიც არავინ იყო, ისე რომ ამ სასოფლო შკოლების უფროსნას უუფროსობა სჯობდა. ესეები ყველა დიდი ხნიდგან ჰქონდა თჲდველობაში გუბერნიის გამგეობას და ბოლოს ხერსონის გუბერნიის ერობამ წარსულს წელს გადასწყვიტა რიგიანათ ხელი გაემართა საერო განათლებისთვის.

*
* *

ჩვენ ამ საქმეზე ერთმა ახალ გაზრდა უმაწვილმა, რომელსაც გაეთავებინა სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში, შეადგინა თავისი მოსაზრება თუ რა წესზე უნდა გამართულ იყო სამეურნეო შკოლა და წარუდგინა ხერსონის საერო ირებილებას განსახილველათ.

*
* *

თვითონ ამ მოსაზრების განხილვას აქ ვერ ვკისრებთ, რადგან იმაზე ბევრი არა ვიცით რა. ჩვენ ეხლა მხოლოდ გადმოვსწერთ ზემოხსენებული რუსის გაზეთის სჯას თუ რამნაირი დაბრკოლება ემლევა ზემოხსენებული გუბერნიის სასოფლო შკოლებს იმისათვის, რომ ერთის მხრით ჯეროვანი ფულით საშუალება არა აქვთ და მეორე არც კარგიანი მასწავლებლები ჰყავთ.

*
* *

სასოფლო ჰსახალხო შკოლებს არა ყავთ ვარგიანი მასწავლებლები (ოსტატები) და იმიტომა იკეტებიან ასე ხშირათ. ის კარგი მასწავლებლების სიცოტავე და რაც არიან, იმათი არედათ რჩენა და ყურადღების მიუქცევლობა გულ ახდენს საქმეს. ყველას სურვილს უკარგავს საერო შკოლების გამართვაზე და ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ საერო განათლების საქმეს სოფლებში მალიან გულმხრილათ უყურებდენ.

*
* *

«როდესაც უეზდის გამგეობებს ვუჩივით, სწორედ ცოტა ყურადღებას აძლევენ საერო განათლებას, ისინი აი რას გვეუბნებიან: «თქვენ იგიანი მასწავლებლები გვიშოვნეთო და თუ ჩვენ შკოლები არ გავმართოთ, მაშინ გაგვკიცხეთო». მართლაც სახალხო შკოლების ოსტატები, ანუ მასწავლებლები მალიან საჭიროები არიან და ყველანიც ჰგრძნობენ ამ დაკლისს. აწინდელმა ხერსონის გუბერნიის საერო კრებამ საბოლოვოთ უნდა გადასწყვიტოს სამეურნეო და ოჯახობაში გამწვრთნელი შკოლის დაფუძნება, რა თვისებისა უნდა იყოს ეს შკოლა, ან როგორ დაზარდონ იქ მოწაფენი (შეგირდები). შეიძლება უფრო ცოტა ფული დახარჯოს ერობამ და სამაგალითო ოსტატების გამწვრთნელი შკოლა გამართოს.

*
* *

სასოსტატო ან სამასწავლებლო სემინარიების გამართვა ხომ ახალი არ არის რუსეთში. სხვაგანაც ბევრგან არიან ისინი გამართულნი და იმათგან სარგებლობას ყველანი ვხედავთ — ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, ვითომ რა არისო მაინცა-და-მაინც სამეურნეო შკოლის გამართვას პირდაპირ ხელი არ მიიყოთო».

* *
*

ჩვენის აზრით ახლანდელი ერის უცოდინარობა ოჯახობის კანონიერათ მართვაში, მიწის გასუსტებლათ უნაყოფიერობა უფრო მოითხოვს, რომ ყოველგან სამეურნეო შკოლების გამართვას შეუდგენ და ამ შემთხვევაში შეუძლებელია კაცმა სთქვას, რომელი საქმის დაწყება უფრო საჭიროა სამეურნეო შკოლების თუ ოსტატების გამზდელ სემინარიებისა. ორივე თანასწორათ საჭიროა. მაგრამ რუსის გაზეთი კიდევ სხვა ნაირათ სჯის.

*
* *

ის ამბობს: ჯერ კიდევ ბევრი დრო გვექნება მაგისთანა დიდი საქმების მოსაზრებისთვისო. ჩვენთვის ახლა საჭიროა, რომ გავავრცელოთ განათლება დაბალს ხალხშიო, გავმართოთ სოფლებში სასოფლო ბანკები (საერო ფულის თავნები), ავამაღლოთ ერის ზნე და ფეხზე დავაყენოთ იმის შეძლებაო.

## უცხო ქვეყნის ამბები

— საფრანგეთში მეტი არ შეიძლება ისე გამრავლებულია ჭია, რომელიც დიდ ზარალს აძლევს ყოველ გვარს მოსავალს. ერთს მაზრაში ამ ორი წლის წინათ შეკრიბეს და დახოცეს ორას-ორმოცდა ხუთ მილიონ ნახევრამდის ბუზა-მკალია. აქედგან შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა საშინლათ მრავლდება ამ ქვეყანაში ყოველ-ნაირი მოსავლის მავნებელი ჭია. ამასთანავე ესეც უნდა ვთქვათ, რომ მრავალი ბუზამკალია, რომელიც სხვა საშუალებით შეუკრებიათ და დაუხოციათ ზემოთ მოყვანილს რიცხვში კიდევ არ არის მოხსენებული. და ამის შემდეგ რომ განახა აბზევილის მაზრა, მაინც ვერ შეატყობდი ბუზამკალიების მოკლებას, ისე გამრავლებულიყო.

*
* *

— ამას წინეთ ერთმა ფრანცუზმა მებაღემ გამოაცხადა, რომ მე ვიპოვე ისეთი საშუალება, რომ კაცმა გაანწყოს ეს ბუზა-მკალიაო. ამის შემდეგ გაზეთებმა ხელის მოწერა გააჩინეს, რომ იმ კაცისთვის ფული შეეკრიბათ საჩუქრათ, რადგან იმის მოგონილ საშუალებით მთელი ქვეყანა განთავისუფლდება ჭიის ახორებისაგანაო. მაგრამ ოცდა-ხუთ თუმანზე მეტი არ შეგროვდა ამ სახით და ამის შემდეგ ჟაკმენმა გამოაცხადა თავისი წამალი. იმის აზრით როგორც კი ზემოთ ამოჰგდებენ ბუზამკალიის მატლს, თუ ისევ მიწაში არ ჩამვრა, მაშინვე მოკვდება. ეს ამბავი უწინაც ბევრმა იცოდა. ჟაკმენი ურჩევს კარგს დარში სახნავი მიწები დახნან და საბოსტნე მიწები ღრმათ დაბარონ და ბელტები დაამტვრიონ, რომ მატლები ზევით ამოყარონ და ჰაერზე დააგდონ. ეს მუშაობა შემოდგომიდგან უნდა დაიწყონ და არც ეგრე გვიან, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჯერ კიდევ მატლები ღრმათ არ ჩამძვრალან მიწაში. იქნება ეს საშუალება ნამდვილიც იყოს, მაგრამ როგორც ჰფიქრობდენ და მოელოდენ საფრანგეთის მეოჯახეები, არც ეგრე ადვილი მოსახერხებელია ყოველგან. მაგალითად ბაღში ხეების მირებში ბუზამკალიას მატლების მებნა თითქმის შეუძლებელია. ჟაკმენის საშუალება, აი, რაში მდგომარეობს ხოლმე: უნდა მონახონ ბუზამკალიის მატლი და მოკლა. მაგრამ ამ საშუალებას ჟაკმენამდისაც ყველა ხმარობდა.

*
* *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Ноября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.